გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი

თეორიული და პრაქტიკული საკითხები

დამხმარე სახელმძღვანელო მხარდაჭერის მიმღები პირებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი

თეორიული და პრაქტიკული საკითხები

დამხმარე სახელმძღვანელო მხარდაჭერის მიმღები პირებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის

2020 წელი

დოკუმენტი მომზადდა პროექტის – „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ და მას ახორციელებენ ორგანიზაციები – „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ (PHR), „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ (GIP – Tbilisi).

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) შეხედულებებს.

დოკუმენტი ეფუძნება კვლევის – „ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება – კანონმდებლობა და პრაქტიკა“ შედეგებს.

ავტორი: ნანა გოჩიაშვილი
დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში ჩართული პირები:
მარიამ ჯანიაშვილი
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანის ილუსტრაცია და დიზაინი: თათია ნადარეიშვილი

ააკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06
www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

შესავალი 5

1. ქმედუნარიანობის კონცეფციის მნიშვნელობა 6

2. რას წარმოადგენს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი? 8
2.1. მხარდაჭერის მიმღები პირის მთავარი როლი 8
2.2. მხარდაჭერის მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება 8
2.3. კომუნიკაცია მხარდაჭერის მიმღებ პირსა და მესამე პირებს შორის 9

3. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესი 11
3.1. ექსპერტიზის ბიუროში პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საჭიროების შეფასება 11
3.2. მხარდაჭერის სფეროები 12

4. გადაწყვეტილების მიღების პროცესი 13
4.1. მხარდაჭერის ეტაპები 13

5. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგი 15

შესავალი

2015 წელს საქართველოში განხორციელდა ქმედუნარიანობის რეფორმა, რის შემდეგაც ქვეყანაში მოქმედებს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი. რეფორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა, რომელმაც გააუქმა ქვეყანაში არსებული მეურვეობის სისტემა და მის ნაცვლად ახალი, გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი შემოიტანა. ამას წინ უძღოდა 2013 წელს 26 დეკემბერს საქართველოს მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირება, რომლის მე-12 მუხლი ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანასწორობასა და თანაბარ სამართალსუბიექტობას აღიარებს.

გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პრაქტიკულ გზას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რათა დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, შესაბამისი საჭიროების შემთხვევებში კი, ჰქონდეთ აუცილებელი მხარდაჭერა, რაც შესაძლოა დასჭირდეთ დამოუკიდებლად მოქმედებისთვის. მეურვეობის ინსტიტუტისგან განსხვავებით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სრულად ართმევდა ფსიქო-სოციალური საჭიროებებისა და ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას, გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლების გარანტიას წარმოადგენს.

საქართველოში, 2015 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო რეფორმამ უზრუნველყო დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობისა და ქმედუნარიანობის ახლებური, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან მეტ შესაბამისობაში მყოფი მოდელის დამკვიდრება. მხარდამჭერი, მეურვისგან განსხვავებით, არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილებები მხარდაჭერის მიმღები პირის ნაცვლად.

დოკუმენტის მიზანია, მხარდაჭერის მიმღებ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს გააცნოს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის თეორიული და პრაქტიკული საკითხები და მხარდაჭერის მიღების პროცესში არსებული უფლებები.

დოკუმენტი ხუთი ნაწილისგან შედგება. პირველი თავი მიმოიხილავს სამართლებრივი ქმედუნარიანობის იდეას, რომელიც ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანასწორობას გულისხმობს ცხოვრების ყველა სფეროში და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების პრაქტიკაში რეალიზების წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ. მეორე ნაწილი საუბრობს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის კონცეფციასა და მის ძირითად მახასიათებლებზე. მესამე თავი ეხება პირის მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის პროცესში მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებების მიმოხილვას. მეოთხე ნაწილი საუბრობს უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, კერძოდ, მხარდამჭერის და მხარდაჭერის მიმღები პირის ურთიერთობასა და ამ დროს მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებებზე. მეხუთე თავი ეხება გადაწყვეტილებაში მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგს, რომელიც ქმედუნარიანობის რეფორმის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

1. ქმედუნარიანობის კონცეფციის მნიშვნელობა

ისტორიულად, შშმ პირებს სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლება დისკრიმინაციულად, გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი მოდელის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, ეზღუდებოდათ – მეურვეები შშმ პირების ნაცვლად მოქმედებდნენ, უმეტეს შემთხვევებში, არ წარმოადგენდნენ ამ ადამიანების ინტერესებს და ხშირად არღვევენ მათ უფლებებს. ამგვარი მიდგომა კვლავ არაერთ ქვეყანაში მოქმედებს და უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე – მეურვეობას დაქვემდებარებული პირი კარგავს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლისა და ისეთი საბაზისო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მის ფუნდამენტურ უფლებებს. ასეთი მიდგომისათვის დამახასიათებელია:

- პირს არ აქვს სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობა;
- გადაწყვეტილებები მიიღება მეურვის მიერ და ეს გადაწყვეტილებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს შშმ პირის პოზიციას;
- გადაწყვეტილებები ეფუძნება პირის „საუკეთესო ინტერესებს“, რომელსაც მეურვე განსაზღვრავს და არა მის სურვილებსა და არჩევანს;
- ოჯახის წევრებისა და მეურვის დამოკიდებულება პატერნალისტურია.

ამის საპირისპიროდ ქმედუნარიანობის კონცეფცია აღიარებს, რომ ყველა შშმ პირს აქვს სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობა, რომელიც სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობის წინაპირობას წარმოადგენს. ეს მუხლი არ განსაზღვრავს ახალ უფლებას შშმ პირებისთვის, არამედ აღწერს იმ სპეციალურ ღონისძიებებს, რომელიც სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ კანონის წინაშე მათი თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, რათა რეალურად მიეცეთ შესაძლებლობა, სხვების თანასწორად ისარგებლონ ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

ქმედუნარიანობის კონცეფციის სრულყოფილ დანერგვასა და განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შშმ პირების დამოუკიდებლობისა და მათი უფლებების რეალიზებისათვის. ცხადია, რომ საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური გადაწყვეტილებების (მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის არჩევა, სამედიცინო მომსახურების მიღება) მიღების შესაძლებლობის გარეშე გამოირიცხება ინდივიდის დამოუკიდებელ ადამიანად მიჩნევა, თავისი ფიქრებით, აზრებით, ემოციებითა და დამოკიდებულებებით. სწორედ სამართლებრივი ქმედუნარიანობა აძლევს პირს შესაძლებლობას, იმოქმედოს სამართლებრივ ურთიერთობებში, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები მთელ რიგ სფეროებთან (მაგალითად, დასაქმება, დაქორწინება, მემკვიდრეობის მიღება და ა.შ) დაკავშირებით, რომელსაც პატივს სცემენ მესამე პირები. გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი, რომელმაც გააუქმა მეურვეობის ძველი სისტემა საქართველოში, სწორედ ქმედუნარიანობით სარგებლობის უზრუნველყოფის გარანტიას წარმოადგენს.

2. რას წარმოადგენს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი?

მხარდაჭერის მოდელი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა ადამიანს აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა, თუმცა, მათ შესაძლებელია ესაჭიროებოდეთ დახმარება ამ პროცესში, ისევე, როგორც საკუთარი უნარების განვითარებისა და საკუთარი უფლებებით სარგებლობის მიმართულებით. მისი მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უშუალოდ შშმ პირი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები, ხოლო მისი მხარდამჭერის ვალდებულებაა, საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდოს მას რელევანტური ინფორმაცია, აუხსნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული დეტალები და ინტერპრეტაცია გაუკეთოს მის მინიშნებებსა და სურვილებს.

გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს არა მხოლოდ უფლებები, არამედ მას შეუძლია პრაქტიკაში გამოიყენოს ეს უფლებები და მიიღოს გადაწყვეტილებები. მაგალითად, განკარგოს თავისი თანხა, დადოს გარიგებები, შეარჩიოს საცხოვრებელი ადგილი და ადამიანები, ვისთან ერთადაც სურს ცხოვრება და ა.შ.

2.1. მხარდაჭერის მიმღები პირის მთავარი როლი

გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემებისგან განსხვავებით, როგორიც იყო მეურვეობა, გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი გულისხმობს მხარდაჭერის მიმღები პირის ავტონომიურობას, მისი სურვილებისა და ნების უპირობო პრიორიტეტულობასა და ცენტრალურობას. ეს ნიშნავს, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირებს აქვთ უფლება, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელსაც არ ეთანხმებიან მხარდამჭერები ან/და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, წავიდნენ რისკზე და დაუშვან შეცდომები. მხარდაჭერის მიმღები პირის მთავარი როლი ასევე გულისხმობს იმას, რომ მას აქვს სრული უფლება აირჩიოს ისეთი ადამიანი მხარდამჭერად, რომელიც მისთვის მისაღებია და ენდობა.

შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებაა:

- თავად შეარჩიოს მხარდამჭერი;
- აქტიურად იყოს ჩართული მხარდამჭერის შერჩევის პროცედურებში;
- გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინოს მხარდამჭერის რჩევა, მაგრამ გადაწყვეტილებები მიიღოს თავად;
- დაუშვას შეცდომა გადაწყვეტილების მიღების დროს და ისწავლოს პრაქტიკული გამოცდილებით.

2.2. მხარდაჭერის მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება

მხარდაჭერის საჭიროების მქონე ყველა პირისათვის იდენტური მხარდაჭერის გაწევა არაეფექტიანი და დისკრიმინაციულიც კი შეიძლება იყოს. არსებითია, რომ მხარდაჭერის განხორციელების პროცესი ემყარებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის სურვილებსა და მის ინდივიდუალურ საჭიროებებს და არა საუკეთესო ინტერესის კონცეფციას. ყველა შემთხვევაში თავად მხარდაჭერის

მიმღები პირი უნდა განსაზღვრავდეს თავის სურვილს, თუნდაც მას არ ეთანხმებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირი. პირის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია საჭირო და ეფექტური იყოს მისთვის რამდენიმე მხარდამჭერის ყოლა.

მხარდაჭერის განხორციელების პროცესში, გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ შშმ თემი არ არის ჰომოგენური ჯგუფი და თემში გვხვდებიან სხვადასხვა რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიის, ენის, ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ამიტომ როდესაც ხდება პირის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა, ყველა ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ქმედუნარიანობის კონცეფცია მჭიდროდაა დაკავშირებული დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში მონაწილეობის უფლებასთან. ერთი მხრივ, ქმედუნარიანობა განაპირობებს შშმ პირის დამოუკიდებლობისა და საკუთარი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლების რეალიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, პირის დამოუკიდებლად, თემში ცხოვრება არის ქმედუნარიანობისა და სხვა უფლებების განხორციელების წინაპირობა.

ქმედუნარიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მხარდაჭერა პირს თემზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად უნდა გაეწიოს, რომელიც პატივს სცემს შშმ პირების სურვილებსა და პრიორიტეტებს. ამ პროცესშიც და შესაბამისი სათემო მომსახურებით სარგებლობის დროსაც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს პირის ინდივიდუალური საჭიროებები.

შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებაა:

- მოითხოვოს მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერა;
- გადაწყვეტილებები მიიღოს მხარდამჭერის დახმარებით, თუმცა საკუთარი ნებითა და სურვილით;
- აირჩიოს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მხარდამჭერი;
- მხარდაჭერა და სხვა საჭირო მომსახურებები მიიღოს თემში, სათემო მომსახურებების საშუალებით.

2.3. კომუნიკაცია მხარდაჭერის მიმღებ პირსა და მესამე პირებს შორის

ყველაფერი, რასაც სხვა ადამიანებთან ერთად ვაკეთებთ, მათ შორის გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი, კარგ კომუნიკაციას ეფუძნება. ჩვენ ყველანი ვამყარებთ კომუნიკაციას სხვა ადამიანებთან დღის განმავლობაში. კომუნიკაცია მოიცავს იდეების, ემოციების, სურვილებისა და საჭიროებების გაზიარებას საუბრით, წერილობითი ფორმით, ქცევითა და სხეულის ენით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრი ადამიანისათვის, კომუნიკაციის დამყარება შეიძლება მოითხოვდეს უფრო მეტ დროსა და საჭიროებდეს დამატებით მხარდაჭერას. ზოგიერთი ადამიანი კომუნიკაციისთვის იყენებს სხვადასხვა დამხმარე საშუალებას, როგორიცაა: დამხმარე ტექნოლოგიები, სურათები და ა.შ. გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი ეფუძნება სწორედ მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას.

კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია – ერთი პირი აგზავნის მესიჯს/ინფორმაციას და მეორე პირი იგებს მას და იღებს. კონკრეტული კომუნიკაციის არხის დასამყარებლად, ადამიანები იყენებენ კომუნიკაციას სიტყვებით, საგნებით, ფოტოებით, ნახატებით, სიმბოლოებითა და ჟესტებით. კომუნიკაციის წარმატებისთვის, არსებითია ფოკუსირება პირზე და იმის განსაზღვრა, თუ კომუნიკაციის რომელი მეთოდი შეესაბამება საუკეთესოდ მას.

პირი მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საწყისი ეტაპიდან კომუნიკაციას ამყარებს სხვადასხვა ადამიანებთან/სპეციალისტებთან. კომუნიკაციის ალტერნატიული და მისთვის მისაღები ფორმის შერჩევა მნიშვნელოვანია ყველა ეტაპზე: განცხადების სასამართლოში შეტანა, ექსპერტიზის ჩატარება, სასამართლო განხილვა, მხარდამჭერთან საშუალებით გადაწყვეტილებების მიღება და შეფასება.

მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებაა:

- მხარდამჭერთან კომუნიკაციის დამყარებისთვის გამოიყენოს მისთვის მისაღები კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება;
- მესამე პირებთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს სხვადასხვა დამხმარე საშუალება;
- მხარდამჭერთან და მესამე პირებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით მიიღოს სხვადასხვა სპეციალისტის კონსულტაცია და მხარდაჭერა.

3. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის მხარდამჭერის დანიშვნის პირველი ეტაპი განცხადების სასამართლოში შეტანა და სასამართლო განხილვაა. ეს ეტაპი ასევე მოიცავს ლევან სამხარაულს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები პირის შეფასებას.

მნიშვნელოვანია, რომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესი წარიმართოს უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აქტიური მონაწილეობითა და პროცესის განმავლობაში მისი უფლებების მაქსიმალური დაცვით, რისთვისაც უნდა არსებობდეს შესაბამისი გარანტიები. კერძოდ:

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სრული ქმედუნარიანობა სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე;
- არც ერთ ეტაპზე არ უნდა შეიზღუდოს მხარდაჭერის სავარაუდო მიმღების სასამართლოსთვის მიმართვის და საქმისწარმოების პროცესში მონაწილეობა;
- მხარდაჭერის სავარაუდო მიმღების ექსპერტიზის ბიუროში შეფასების დროს წამყვანი პოზიცია არ უნდა ჰქონდეთ ფსიქიატრებს. მასში აქტიურად და თანაბარუფლებიანად მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სოციალურ მუშაკს, ოკუპაციურ თერაპევტსა და ფსიქოლოგს.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხარდაჭერის მიმღების უფლება, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე არ დაეთანხმოს გადაწყვეტილებას და გაასაჩივროს ის;
- მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები პირისთვის უნდა არსებობდეს ისეთი პროცედურები სასამართლოში, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას, მაქსიმალურად აქტიურად და ეფექტურად ჩართოს საქმისწარმოების ყველა ეტაპზე;
- საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი პროფესიონალის მომსახურებით, რომელიც დაეხმარება მოსამართლესთან, ექსპერტებთან, ადვოკატთან და პროცესში მონაწილე სხვა პირებთან ეფექტურ კომუნიკაციაში.

3.1. ექსპერტიზის ბიუროში პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საჭიროების შეფასება

სასამართლოში განცხადების წარდგენის შემდეგ, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს უგზავნის კონკრეტულ შეკითხვებს, რომლის მიზანია გამოიკვლიოს, ერთი მხრივ, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საჭიროება, ხოლო მეორე მხრივ, ასეთი საჭიროების დადგენის შემდეგ, განსაზღვროს რომელ სფეროებში და რა მოცულობით ესაჭიროება პირს მხარდაჭერა. იქედან გამომდინარე, რომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ექსპერტიზის დასკვნაზე, აუცილებელია შეფასების პროცესი წარიმართოს მხარდაჭერის სავარაუდო მიმღების უფლებების დაცვისა და რეალური საჭიროებების მაქსიმალურად დადგენის მიზნით. ამისათვის აუცილებელია:

- პირის გადაწყვეტილების მიღების უნარები არ უნდა შეფასდეს მისი ასაკის, გარეგნობისა თუ ქცევის თავისებურებების გათვალისწინებით;
- პირის გადაწყვეტილების მიღების უნარები არ უნდა შეფასდეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის მიხედვით, შემფასებლის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების არაგონივრულად მიჩნევის შედეგად;

- შეფასება უნდა განხორციელდეს პირისათვის სანდო და თანამშრომლობით გარემოში;
- შეფასების განხორციელების დროს პირის ავტონომია და პირადი სივრცე უპირობოდ უნდა იყოს დაცული;
- შეფასება უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი და უნდა იყოს გათვალისწინებული პირის ცხოვრების ისტორია.

3.2. მხარდაჭერის სფეროები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლებით სარგებლობს ცხოვრების ყველა სფეროში. შესაბამისად, მას მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება დაენიშნოს ყველა იმ სფეროში, რომელიც მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, მხარდასაჭერ სფეროებს შორის შესაძლოა მოიაზრებოდეს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა:

- პირადი ცხოვრება – პირის ოჯახური და სოციალური ურთიერთობები, განათლება და დასაქმება, საცხოვრისის არჩევა, სერვისების მიღება, დასვენება, პირადი დავები და სხვა;
- სამართლებრივი საკითხები – გარიგების დადება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ანდერძის შედგენა და სხვა;
- ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები – მკურნალობა, მედიკამენტების მიღება, ჰოსპიტალიზაცია, ჯანმრთელობის დაზღვევის მიღება, ჯანსაღი კვება და სხვა;
- ფინანსური საკითხები – საბანკო ანგარიშისა თუ კრედიტების მართვა, გადასახადების გადახდა, ფინანსური სარგებლის მართვა, მემკვიდრეობა და სხვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რასთან მიმართებითაც ხშირად ხდება მხარდაჭერის საჭიროების უგულებელყოფა და ქმედუნარიანობის შეზღუდვა, ფინანსური საკითხებია, რაც მათ შორის, მოიცავს პირის წვდომას საკუთრებაზე, მემკვიდრეობასა თუ სხვადასხვა ტიპის ფინანსურ სერვისებზე.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არასათანადო მხარდაჭერა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პირის დამოუკიდებლობაზე, ავტონომიასა და ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობაზე. ჯანდაცვის სისტემები ხშირად პირის ნების საწინააღმდეგოდ, მესამე მხარეების თანხმობის საფუძველზე ახდენენ ჩარევას, მათ შორის, ადამიანების ინსტიტუციონალიზაციას. ყველა ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს. ამის ნაცვლად პირისთვის შეთავაზებული უნდა იყოს სხვადასხვა სათემო მომსახურება მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

4. გადაწყვეტილების მიღების პროცესი

მას შემდეგ, რაც სასამართლო პირს მხარდაჭერის მიმღებად ცნობს, იწყება მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღებ პირს შორის აქტიური კომუნიკაცია, რა დროსაც მხარდამჭერი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებში პირს მხარდაჭერას უწევს, მიიღოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა უმთავრესია პირის დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების პრაქტიკაში რეალიზებისთვის. იქედან გამომდინარე, რომ მხარდაჭერის ეფექტურად წარმართვა პირდაპირ დაკავშირებულია პირის მიერ ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან და პრაქტიკაში წარმოადგენს რთულ პროცესს, მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერა ადამიანის უფლებების დაცვის მიდგომას ეფუძნებოდეს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს მხარდაჭერის მიმღებ პირს უფლება აქვს:

- თავად მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე;
- იმოქმედოს საკუთარი ღირებულებებით გადაწყვეტილების მიღების დროს;
- მიიღოს ინფორმაცია და მხარდაჭერა, რომელიც ესაჭიროება გადაწყვეტილების მისაღებად;
- მოსმენილი და პატივცემული იყოს მისი დამოკიდებულებები და ღირებულებები ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც გადაწყვეტილების მიღებასთან არის დაკავშირებული;
- ჰქონდეს შესაძლებლობა, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები;
- გაეწიოს ნებისმიერი სახის მხარდაჭერა, რომელიც ესაჭიროება გადაწყვეტილების მისაღებად;
- ჰქონდეს წვდომა ნებისმიერ ანგარიშსა და დოკუმენტზე, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან.
- განახორციელოს სხვადასხვა ექსპერიმენტები, რომელიც დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში;
- მონაწილეობა მიიღოს ისეთ აქტივობებში, რომელიც შეიცავს რისკის ელემენტებს;
- შეიცვალოს აზრი საკუთარ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ნებისმიერი მიზეზით, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია;
- მიეწოდოს გონივრული ახსნა და გაფრთხილება შეცვლილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება ეხება სახელშეკრულებო და გრძელვადიან ვალდებულებებს;
- გამოხატოს საკუთარი შეხედულებები ნებისმიერ რისკზე, სავარაუდოსა თუ რეალურზე და რომელიც უკავშირდება მის გადაწყვეტილებებსა და არჩევანს.

4.1. მხარდაჭერის ეტაპები

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის მხარდამჭერის დანიშვნის შემდეგ, მას აქვს ამ სფეროებშიც თავისი სურვილითა და ნებით გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. მხარდამჭერის როლია, მიაწოდოს შშმ პირს ინფორმაცია მისთვის გასაგები ფორმით, მხარდაჭერა გაუწიოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის შეგროვებაში და ა.შ. გადაწყვეტილებაში მხარდაჭერის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება. აღნიშნული ეტაპები ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, პირის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შეიძლება თანმიმდევრულად განხორციელდეს, ზოგიერთ ეტაპს უფრო მეტი დრო დაეთმოს ან საჭირო გახდეს რომელიმე წინა ეტაპზე დაბრუნება.

იმისათვის, რომ მხარდაჭერის მიმღებმა პირმა მიიღოს ინფორმირებული და საკუთარი სურვილზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, მას უფლება აქვს მხარდამჭერთან ერთად გაიაროს შემდეგი ეტაპები:

- **სურვილების იდენტიფიცირება** – როგორც აღინიშნა, მხარდაჭერის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის ნებასა და სურვილებს, შესაბამისად, პირველ რიგში, არსებითია მათი იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე მხარდამჭერსა და მხარდასაჭერ პირს შორის მყარდება ინტენსიური კომუნიკაცია. ცალკეულ შემთხვევაში, პირის მიერ გამოთქმული სურვილები, მხარდამჭერმა, შესაძლოა, არარეალისტურადაც კი მიიჩნიოს, თუმცა, მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე მისი როლის გააზრება – განსჯის ნაცვლად, იგი უნდა დაეხმაროს მხარდასაჭერ პირს, გაიაზროს საკუთარი სურვილები და მიიღოს ინფორმაცია შესრულების პროცესში შესაძლო სირთულეებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ.
- **ინფორმაციის შეგროვება** – მას შემდეგ, რაც პირის ნება და სურვილები იქნება იდენტიფიცირებული, მნიშვნელოვანია შესაძლო არჩევანის შესახებ (მათ შორის, დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით) სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება მხარდამჭერის მიერ.
- **სხვადასხვა არჩევანის გააზრება** – თითქმის ყველა შემთხვევაში, კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებით რამდენიმე სხვადასხვა არჩევანის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. გადაწყვეტილების მიღების ეს ეტაპი გულისხმობს მხარდასაჭერი პირების მიერ სხვადასხვა არჩევანის გააზრებას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზს, ისევე, როგორც გადაწყვეტილებისგან თავის შეკავების სავარაუდო შედეგების დანახვას.
- **გადაწყვეტილების მიღება** – ეს მთავარი ეტაპია მხარდაჭერის პროცესში. მხარდამჭერის ფუნქცია ამ შემთხვევაში არის პირის დახმარება, მიიღოს გადაწყვეტილება, გაიაზროს და დაგეგმოს შესრულების პროცესი.
- **გადაწყვეტილების შესრულება** – მხარდაჭერის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაა. აქ მხარდამჭერებს სხვადასხვა როლი შეიძლება დაეკისროთ. მათ შორისაა, გადაწყვეტილების შესრულების გზების ძიება და ამ პროცესში მხარდაჭერა, პირის შესაბამის სერვისებში გადამისამართება და სხვ.
- **განხორციელებული ქმედების შეფასება** – ამ დროს ხდება წინარე ეტაპების, მათ შორის, მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედებების შეფასება. ეს ეტაპი მხარდასაჭერ პირს ეხმარება, უპირველესად, უკეთ დარწმუნდეს საკუთარ გადაწყვეტილებაში, ან განსაზღვროს ის, თუ რის შეცვლას ისურვებდა მომავალში.

5. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგი

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესის ეფექტური წარმართვისათვის, მნიშვნელოვანია, მუდმივად ხდებოდეს პროცესზე ზედამხედველობა. მისი მიზანი უნდა იყოს ერთი მხრივ, მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესების დაცვა და მეორე მხრივ, კვალიფიციური პროფესიონალების მხრიდან საჭირო სუპერვიზიის გაწევა როგორც მხარდამჭერების, ისე მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგს ახორციელებენ სოციალური მუშაკები. ეფექტური მონიტორინგი მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებების დაცვისთვის. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხარდაჭერის მიმღები პირის ეფექტურ მონაწილეობას მონიტორინგის პროცესში.

მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით:

- მონიტორინგის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის როლის ცენტრალურობას – ეს გულისხმობს, რომ პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის სურვილსა და ნებას;
- მონიტორინგის პროცესში მხარდამჭერის გარდა, აქტიური კონტაქტი უნდა დამყარდეს მხარდაჭერის მიმღებ პირთან. ამ დროს მხარდაჭერის მიმღებ პირს უფლება აქვს დააფიქსიროს მონიტორინგის განმახორციელებელ პირთან თავისი წუხილები, სურვილები, როგორ წარიმართოს მისი მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებით;
- მონიტორინგის ერთ-ერთი მიზანი მხარდაჭერის პროცესში არასათანადო ზეგავლენის, უფლების ბოროტად გამოყენების, ექსპლუატაციისა და ძალადობის პრევენცია უნდა იყოს;
- მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულება მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღები პირების გაძლიერება, მხარდაჭერის პროცესში წამოჭრილი სირთულეების გადაჭრა და მხარეებს შორის ე.წ. მედიატორის როლის შესრულება უნდა იყოს.

**დოკუმენტში განხილულ თემებთან დაკავშირებით
დამატებითი ინფორმაციის მიღების და/ან კითხვების შემთხვევაში,
შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ორგანიზაციებს:**

**ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
ტელ: 2 33 37 06**

**პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)
ტელ: 2 33 13 56**